

## განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მოქმედი კანონის შესაბამისად საქართველოს ვიზა გაცემა თუ სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა 3 თვით აღემატება ვიზის მოქმედების ვადას. როგორც პრაქტიკით დადასტურდა აღნიშნული ნორმის მოქმედება წარმოშობს მნიშვნელოვან პრობლემებს, ვინაიდან კანონით დაშვებულია ვიზის გაცემა უშუალოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, უკვე საქართველოში ჩამოფრენილი, ან საქართველოს საზღვართან მოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის სამგზავრო დოკუმენტი მოქმედია კიდევ რაღაც ვადით, ვერ ახერხებს საქართველოს ვიზის მიღებას, რაც ქმნის გარკვეულ უხერხულობას და ქვეყნის ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადის მიუხედავად საქართველოში შემოსვლის მსურველთათვის ვიზის გაცემა, რაც გაზრდის ქვეყანაში ტურისტული თუ ბიზნეს ინტერესებით ჩამომსვლელთა ოდენობას.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, კანონიდან ამოღებულ უნდა იქნეს 11-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც საქართველოს ვიზის გაცემისას სამგზავრო დოკუმენტის ვადა სულ ცოტა 3 თვით უნდა აღემატებოდეს ვიზის მოქმედების ვადას. შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, ვიზის გაცემა აღარ შეიზღუდება სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადით. ამდენად, გამარტივდება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოს ვიზის აღების შესაძლებლობა, მათ შორის უშუალოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, უკვე საქართველოში ჩამოფრენილი, ან საქართველოს საზღვართან მოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

#### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება საქართველოს ვიზის გაცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უშუალოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, რაც ამ ეტაპზე მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამასთან, ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ზუსტად რა ოდენობის გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში უშუალოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, უკვე საქართველოში ჩამოფრენილი, ან საქართველოს საზღვართან მოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის სამგზავრო დოკუმენტი მოქმედი იქნება კიდევ რაღაც ვადით, შეძლებს საქართველოს ვიზის მიღებას და საქართველოში შემოსვლას, რამაც დადებითად იმოქმედებს მის მდგომარეობაზე. ამასთან, კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი შეფასებანი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.